ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 18

ქ.ვანი თავისუფლების N65 22 ნოემბერი 2018 წელი

11 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი,მალხაზ ცერცვაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: დავით ხარძეიშვილი, გია ხარაბაძე, ბიჭიკო პაიკიძე, პაატა ხურციძე, რობიზონ ფუტკარაძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: *საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ივანე მამფორია.*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. .,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ“.

მომხს: /ივანე მამფორია/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომისიის წევრების მხრიდან ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი შენიშვნა: კერძოდ;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის მუხლში გათვალისწინებულია განსახორციელებელი სამუშაოების პროექტირება და თანადაფინანსება. აუცილებელია 2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების პროექტები წინასწარ შეთანხმდეს საკრებულოსთან.

კომისიის წევრების მხრიდან 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთაან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დაადგინეს:

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვები არ დაფიქსირებულა.

მომხრე-7

წინააღმდეგი- არცერთი

/დანართი 2/

დაადგინეს:

წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებით და მოსაზრებებით მზად არის ბიუროს სხდომაზე გასატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე